# საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი გრწყინვალე გამარჯვება


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 262 (10959) | სამშაბათი, 5 ნოემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.


3 ნოემბერს საბჭოთა კავშირში მოხდა დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება. ამ თანამგზავრის სამეცნიერო აპარატურის, საცდელი ცხოველისა და ელექტროკვების წყაროების საერთო წონა შეადგენს 508 კილოგრამსა და 300 გრამს.

მეორე თანამგზავრის მაქსიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირისაგან დაახლოებით 1.700 კილომეტრია, 4 ნოემბერს 6 საათსათვის მეორე თანამგზავრმა 13-ჯერ შემოუარა დედამიწას.

დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის წარმატებით გაშვებით, რომელშიც არის სხვადასხვა სამეცნიერო აპარატურა და საცდელი ცხოველი, საბჭოთა მეცნიერები აფართოებენ კოსმოსური სივრცისა და ატმოსფეროს ზედაფენების გამოკვლევას.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, გამომცდელთა და მრეწველობის ქარხნების კოლექტივები, რომლებმაც დედამიწის მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი შექმნეს, მის გაშვებას უძღვნიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

## პირველს მეორე მოჰყვა!

გუშინ მთელ მსოფლიოს მოედო ცნობა, რომ ჩვენს ქვეყანაში გაშვებულ იქნა დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრი. ყველა ქვეყნის ხალხებს ეს მიაჩნიათ როგორც საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი შესანიშნავი გამარჯვება, როგორც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გიგანტურ წარმატებათა უაღრესად მკაფიო დადასტურება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წელს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მიღწეულია შედეგები, რომლებიც მეტოქეობას უწევენ ადამიანის ცოდნის მთელი საუკუნეების პროგრესს.

გაზაფხულზე დედამიწის მოსახლეობამ შეიტყო, რომ ქალაქ დუბნოში მოსკოვის ახლოს მუშაობა დაიწყო სინქროფაზოტრონმა, რომელიც მსოფლიოში უდიდესი ატომის მანქანაა. წყალბადის ბირთვების დაშლა აქ ხდება თითქმის შუქის სისწრაფით, რაც შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს ღრმად ჩასწვდეს ატომის წიაღს, შეისწავლოს მასში მოთავსებული გიგანტური ძალები მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის მათი გამოყენების მიზნით.

ცივილიზაციის ისტორიაში შესანიშნავი მოვლენა იყო მსოფლიო საჰაერო ხაზებზე საბჭოთა საავიაციო ექსპრესების „ტუ-104“-ის გამოჩენა, რომლებიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევენ გადალახოს კოლოსალური სივრცეები დღემდე უმაგალითო სისწრაფით. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავს მიეძღვნა საბჭოთა საავიაციო მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ბრწყინვალე მიღწევა. ეიროდრომის ბეტონის ბილიკზე გამოვიდა მსოფლიოში ყველაზე დიდი ჩქაროსნული სამგზავრო ხომალდი „ტუ-114“, რომელსაც შეუძლია გადაიყვანოს 220 მგზავრი.

ყველა ქვეყანაში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მძლავრი საკონტინენტთაშორისო რაკეტის შექმნამ სსრ კავშირში.

მთელი პროგრესული კაცობრიობა აღტაცებით შეხვდა ცნობას, რომ ჩვენს ქვეყანაში გაშვებულ იქნა ისტორიაში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. მან ეს მოვლენა სრული საფუძვლით შეაფასა როგორც დასაწყისი გაბედული შეჭრისა კოსმოსურ სივრცეში. დედამიწის პირველი თანამგზავრის გაშვებიდან 29 დღის შემდეგ გაშვებულ იქნა მეორე თანამგზავრი.

3 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის კარიბჭეზე, საბჭოთა კავშირში საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის შესაბამისად ატმოსფეროს ზედაფენების მეცნიერული კვლევის, აგრეთვე კოსმოსურ სივრცეში ფიზიკური პროცესებისა და სიცოცხლის პირობების შესწავლისათვის მოხდა დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება. თანამგზავრი წარმოადგენს მატარებელი რაკეტის უკანასკნელ საფეხურს და მასში მოთავსებულია კონტეინერები სამეცნიერო აპარატურით და საცდელი ცხოველით.

დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის წარმატებით გაშვებით, რომელშიც არის სხვადასხვა სამეცნიერო აპარატურა და საცდელი ცხოველი, საბჭოთა მეცნიერები აფართოებენ კოსმოსური სივრცისა და ატმოსფეროს ზედაფენების გამოკვლევას. ბუნების მოვლენების გამოუკვლევი პროცესები, რომლებიც კოსმოსში ხდება, ახლა უფრო ხელმისაწვდომი გახდება ადამიანისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხები კანონიერ პატრიოტულ სიამაყეს გამოთქვამენ იმის გამო, რომ დედამიწის პირველი თანამგზავრები შექმნილია ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში, ჩვენს ქარხნებში.

საბჭოთა მეცნიერების მიღწევები, რომლებმაც ახალი ერა შექმნეს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, სავსებით კანონზომიერია. ისინი გამომდინარეობენ თვით სოციალისტური წყობილების ხასიათიდან, რომელიც ემყარება ზუსტ მეცნიერულ საფუძვლებს და ქმნის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების განვითარებისათვის.

სამუდამოდ შევიდა ისტორიაში მგზნებარე სიტყვები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა, რომელმაც მეცნიერება ხალხის კუთვნილებად გამოაცხადა. კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, იცავენ რა ლენინის ანდერძს, დაუცხრომელი ყურადღებითა და ზრუნვით ეკიდებიან საბჭოთა მეცნიერებას.

გამოხატეს რა მადლობა პარტიისადმი ამ ზრუნვისათვის, ამ დღეებში გამართული დიდი ოქტომბრის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მონაწილეებმა თავიანთ მიმართვაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი განაცხადეს:

„აჯამებენ რა სოციალიზმის პირობებში მეცნიერების ორმოცი წლის განვითარების შედეგებს, საბჭოთა მეცნიერები მთელ ხალხთან ერთად ამაყობენ იმით, რომ ჩვენი მეცნიერება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც ყოველდღიურად წარმართავს ლენინური ცენტრალური კომიტეტი, გამოვიდა ყველაზე მოწინავე პოზიციებზე...

თავისი შრომებით საბჭოთა მეცნიერება ვალს უხდის ხალხს. საბჭოთა მეცნიერებმა, ვიცით, რომ ყველა ჩვენს წარმატებას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს ხალხს, ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც მეცნიერება შთააგონა გაბედულებით, ნოვატორობით, შეაიარაღა იგი ნამდვილად მეცნიერული მეთოდოლოგიით — დიალექტიკური მატერიალიზმით. პარტიის დიადი შთამაგონებელი როლი საბჭოთა მეცნიერების სულ უფრო მეტი აყვავების მთავარი წყაროა.

ყველა საბჭოთა მეცნიერი მთელი თავისი გულით იზიარებს გრძნობებს, რომლებიც გამოხატა ჩვენმა შესანიშნავმა თანამემამულემ ციოლკოვსკიმ თავის წერილში პარტიისადმი:

— მთელ ჩემს შრომებს ავიაციის, რაკეტფრენის და საპლანეტთაშორისო მიმოსვლის დარგში გადავცემ ბოლშევიკების პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას — ადამიანის კულტურის პროგრესის ნამდვილ ხელმძღვანელებს!

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის ორმოცი წლისთავის აღსანიშნავად ემზადება მთელი მოწინავე კაცობრიობა, გადაუშალა მას პროგრესის თვალუწვდენი ჰორიზონტები, საშუალება მისცა მეცნიერებას გაეკეთებინა ნახტომი წინ, ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა მის სწრაფ განვითარებას. განუზომლად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხების საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილება. სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობაში მუშაობს უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მქონე 6,3 მილიონი სპეციალისტი, მაშინ როცა 1913 წელს ასეთი სპეციალისტი ორასიათასზე ნაკლები იყო.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ინჟინერთა კადრების მომზადების გაქანებით. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირში ინჟინერთა გამოშვება 1950 წლის 36 ათასი კაციდან გაიზარდა 71 ათასამდე 1956 წელს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ამავე ხნის განმავლობაში შემცირდა 53 ათასიდან 26 ათასამდე. საბჭოთა მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა მისი ფართო გაქანება მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ის, რომ მეცნიერულ შემოქმედებას ეზიარებიან საკონსტრუქტორო ბიუროებისა და საქარხნო ლაბორატორიების მუშაკები.

საბჭოთა ქვეყანა იმკის სახალხო განათლების წარმატებათა, უმაღლესი სკოლის შესანიშნავ მიღწევათა ნაყოფს, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იქნებოდა მიგვეღწია გადამწყვეტი პროგრესისათვის მეცნიერებასა და ტექნიკაში.

ჩვენი სახელმწიფოს სახელოვან ორმოცი წლისთავს საბჭოთა მეცნიერება ეგებება დაკვეკცებული, რომელსაც შესწევს უნარი გადაჭრას ყველაზე რთული ამოცანები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ გაბედულ ოცნებად გვეჩვენებოდა. მის ფორმირებასა და განვითარებაში მკაფიოდ გამოიხატა სოციალისტური სისტემის დიდი უპირატესობანი კაპიტალისტურის წინაშე, საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვებანი, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა.

მისი ეს დამახასიათებელი ნიშანი აღნიშნულია ამხანაგ მაო ძე-დუნის სიტყვაში, რომელმაც მოსკოვში ჩამოსვლისას განაცხადა: „40 წლის მანძილზე მშენებლობის მსვლელობაში საბჭოთა კავშირმა არაჩვეულებრივად სწრაფად მოიპოვა ბრწყინვალე წარმატებანი, ბევრ დარგში მსოფლიოს ყველა ქვეყნის წინ დადგა, თვალსაჩინო მაგალითი უჩვენა ხალხებს, რომლებიც ესწრაფვიან პროგრესსა და ბედნიერებას. საბჭოთა კავშირის მიერ მსოფლიოში დედამიწის პირველი თანამგზავრის გაშვება უბრალო მოვლენა როდია, ამით დაიწყო კაცობრიობის მიერ ბუნების შემდგომი დამორჩილების ახალი ერა“.

ახლა უკვე ერთი კი არა დედამიწის ორი საბჭოთა თანამგზავრი ბრუნავს ჩვენი პლანეტის გარშემო! ეს მოწინავე მეცნიერების დიდი ტრიუმფია.

მსოფლიოს ყველა ხალხი, სხვადასხვა ახაკისა და პროფესიის ადამიანები ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტზე გამოხატავენ დიდ აღტაცებას საბჭოთა კავშირის ახალი გამარჯვების გამო, რომელიც მტკიცედ მიდის კომუნიზმისაკენ.

„პრავდის“ 4-XI მოწინავე.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის სამხედრო მინისტრი გენერალი აბდელ ჰაკიმ ამერი

2 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ეგვიპტის სამხედრო მინისტრი გენერალი აბდელ ჰაკიმ ამერი და მეგობრული და გულითადი საუბარი ჰქონდა მასთან. საუბრის მსვლელობაში გაიმართა აზრთა გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის შრავალ საკითხზე.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი.

## სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის გახსნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი, გაიხსნება კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე ხვალ, 6 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ლუენკის სპორტის სასახლეში.

## საკდესის ცნობა

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის შესაბამისად ატმოსფეროს ზედაფენების მეცნიერული კვლევის, აგრეთვე კოსმოსურ სივრცეში სიცოცხლის ფიზიკური პროცესებისა და პირობების შესწავლისათვის 3 ნოემბერს საბჭოთა კავშირში მოხდა დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება.

მეორე ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც სსრ კავშირში შეიქმნა, წარმოადგენს მატარებელი რაკეტის უკანასკნელ საფეხურს, რომელშიც მოთავსებულია კონტეინერები სამეცნიერო აპარატურით.

მეორე ხელოვნურ თანამგზავრზეა:

— აპარატურა სპექტრის მოკლეტალღოვან ულტრაიისფერ და რენტგენულ დარგებში მზის გამოსხივების გამოსაკვლევად;

— აპარატურა კოსმოსური სხივების შესასწავლად;

— აპარატურა ტემპერატურისა და წნევის შესასწავლად;

— ჰერმეტული კონტეინერი, რომელშიც არის საცდელი ცხოველი (ძაღლი), ჰაერის კონდიცირების სისტემა, საჭმლის მარაგი და ხელსაწყოები კოსმოსური სივრცის პირობებში ცხოველუნარიანობის შესასწავლად;

— საზომი აპარატურა დედამიწაზე მეცნიერული გაზომვის ცნობების გადმოსაცემად;

— ორი რადიოგადამცემი, რომლებიც მუშაობენ 40,002 და 20,005 მეგაჰერცის სიხშირეებზე (ტალღის სიგრძეა დაახლოებით 7,5 და 15 მეტრი შესაბამისად);

— ელექტროენერგიის საჭირო წყაროები.

აღნიშნული აპარატურის, საცდელი ცხოველისა და ელექტროკვების წყაროების საერთო წონა 508,3 კილოგრამს შეადგენს.

დაკვირვების ცნობებით, თანამგზავრმა მიიღო ორბიტული სიჩქარე დაახლოებით 8.000 მეტრი წამში.

გაანგარიშების თანახმად, რაც პირდაპირი დაკვირვებით ზუსტდება, თანამგზავრის მაქსიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირისაგან 1.500 კილომეტრს აღემატება; თანამგზავრის ერთი სრული შემოვლის დრო შეადგენს დაახლოებით 1 საათსა და 42 წუთს; ორბიტის დახრის კუთხე ეკვატორის სიბრტყისადმი უდრის დაახლოებით 65 გრადუსს.

გაზომვის მონაცემებით, რომლებსაც თანამგზავრიდან იღებენ, სამეცნიერო აპარატურის ფუნქციონირება და კონტროლი ცხოველის ცხოველუნარიანობისადმი ნორმალურად მიმდინარეობს.

ქალაქ მოსკოვის რაიონს მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა 3 ნოემბერს ორჯერ გადაუარა — 7 საათსა და 20 წუთზე და 9 საათსა და 05 წუთზე მოსკოვის დროით.

20,005 მეგაჰერცის სიხშირეზე თანამგზავრის რადიოგადამცემის სიგნალებს აქვთ ტელეგრაფის გზავნილთა სახე, რომლის ხანგრძლივობა დაახლოებით უდრის 0,3 წამს ასეთივე ხანგრძლივობის პაუზით. 40,002 მეგაჰერცის სიხშირეზე რადიოგადამცემი მუშაობს უწყვეტი გამოსხივების რეჟიმით.

დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის წარმატებით გაშვებით, რომელშიც არის სხვადასხვა სამეცნიერო აპარატურა და საცდელი ცხოველი, საბჭოთა მეცნიერები აფართოებენ კოსმოსური სივრცისა და ატმოსფეროს ზედაფენების გამოკვლევას.

ბუნების მოვლენათა შეუცნობელი პროცესები, რომლებიც კოსმოსში ხდება, ახლა უფრო ხელმისაწვდომი გახდება ადამიანისათვის.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, გამომცდელთა და მრეწველობის ქარხნების კოლექტივები, რომლებმაც დედამიწის მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი შექმნეს, მის გაშვებას უძღვნიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

## დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ

მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი ინტერესითა და აღტაცებით ადევნებს თვალყურს დედამიწის ახალი ხელოვნური თანამგზავრის ფრენას. თანამგზავრის მოძრაობის პარამეტრების გაზომვის პირველმა მონაცემებმა საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა მისი ორბიტის ძირითადი ელემენტები.

დედამიწის გარშემო მეორე თანამგზავრის შემოვლის პერიოდი შეადგენს 103,7 წუთს. ეს 7,5 წუთით მეტია, ვიდრე პირველი თანამგზავრის შემოვლის პერიოდი მისი მოძრაობის დაწყების მომენტში.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გადიდდა სამეცნიერო და საზომი აპარატურის წონა, რაც ნახევარ ტონას აღემატება, ორბიტაში გაყვანის მომენტში მეორე თანამგზავრს მიეცა ფრენის დიდი სიჩქარე, რათა გადიდებულიყო მისი არსებობის დრო. მეორე თანამგზავრი თავდაპირველი სიჩქარის გადიდების შედეგად მოძრაობს უფრო მაღალ ორბიტაში, რომლის მაქსიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან უდრის 1,700-მდე კილომეტრს, ესე იგი 800 კილომეტრით მაღლაა, ვიდრე პირველი თანამგზავრის ორბიტი.

დედამიწის რადიო-ტელემეტრული აპარატურა იღებს და აღრიცხავს მეცნიერულ დაკვირვებათა მონაცემებს, რომლებიც თანამგზავრზე წარმოებს.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის შესაბამისად მეორე ხელოვნურ თანამგზავრზე წარმოებს, კერძოდ, შესწავლა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მედიკურ-ბიოლოგიური საკითხებისა, რომლებიც წარმოშვება საპლანეტთაშორისო ფრენის პრობლემებთან დაკავშირებით. ამ მიზნით თანამგზავრის სპეციალურ ჰერმეტულ კაბინში მოთავსებულია ცხოველი — ძაღლი ლაიკა.

განსაკუთრებული აპარატურის დახმარებით წარმოებს ცხოველის ძირითად ფიზიოლოგიურ ფუნქციათა მაჩვენებლების რეგისტრაცია.

როგორც ტელეგანზომილებათა დამუშავების წინასწარმა მონაცემებმა გვიჩვენეს, ცხოველი გაფრენის პირველ საათებში წესრიგიოყო, ხოლო მისი საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაკვირვება ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე გრძელდება. დედამიწის სადგურები აღრიცხავენ აგრეთვე იმ ხელსაწყოთა ჩვენებას, რომლებიც განკუთვნილი არიან სპექტრის მოკლეტალღიან, ულტრაიისფერ და რენტგენის დარგებში კოსმოსური სხივებისა და მზის გამოსხივების გამოკვლევისათვის. მეცნიერულ დაკვირვებათა მასალები გროვდება და მუშავდება.

თანამგზავრის რადიოსადგური ნორმალურად მუშაობს, ხოლო მის სიგნალებს 20 და 40 მეგაჰერც სიხშირეზე იღებენ მთელი რადიოტექნიკური საშუალებები, რომლებიც დაკვირვებაში მონაწილეობენ, და რადიომოყვარულები.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის რადიოკლუბის კოლექტიური რადიოსადგური. სურათზე: ინჟინერ-ინსტრუქტორი ზურაბ კვიჟინაძე (მარცხნივ) და რადიომოყვარული იური სისოეკინი ემზადებიან დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრიდან სიგნალების მისაღებად.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

4 ნოემბრის დილის 6 საათისათვის მეორე თანამგზავრმა 13-ჯერ შემოუარა დედამიწას.

მეორე თანამგზავრზე დაკვირვებასთან ერთად არ წყდება დაკვირვება პირველ თანამგზავრზე და მატარებელ რაკეტზე. ამ დროისათვის პირველი თანამგზავრის მატარებელმა რაკეტმა 456-ჯერ შემოუარა დედამიწას, პირველმა თანამგზავრმა — 454-ჯერ.

4 ნოემბერს საღამოს მატარებელი რაკეტი, გაუსწრებს რა თანამგზავრს 1,86 შემოვლით, გამოჩნდება 13 წუთით გვიან.

მოსკოვის რაიონში, პირველი თანამგზავრის მატარებელი რაკეტი გაივლის 16 საათსა და 33 წუთზე სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

5 ნოემბერს მეორე თანამგზავრზე და პირველი თანამგზავრის მატარებელ რაკეტზე დაკვირვებისათვის გადმოგცემთ დედამიწის ცალკეული პუნქტების სიას, რომელთა რაიონებში გაივლიან ისინი (მოსკოვის დროით).

### მეორე თანამგზავრი

5 ნოემბერი

**გუადალუპე** 0 საათი და 41 წუთი, **ნანკინი** 0 საათი და 43 წუთი, **შენიანი** 0 საათი და 47 წუთი, **მაგადანი** 0 საათი და 53 წუთი, **მეხიკო** 1 საათი და 16 წუთი, **სანტ-იაგო** 1 საათი და 34 წუთი, **მადრასი** 2 საათი და 23 წუთი, **კალკუტა** 2 საათი და 25 წუთი, **იუმენინი** 2 საათი და 30 წუთი, **ულან-ბატორი** 2 საათი და 32 წუთი, **ქაბული** 4 საათი და 12 წუთი, **ალმა-ატა** 4 საათი და 14 წუთი, **ბარნაული** 4 საათი და 18 წუთი, **ვილიუისკი** 4 საათი და 23 წუთი, **ვინდჰუკი** 5 საათი და 39 წუთი, **ბაღდადი** 5 საათი და 56 წუთი, **თბილისი** 5 საათი და 58 წუთი.

### პირველი თანამგზავრის მატარებელი რაკეტი

5 ნოემბერი

**პორტ-პარისონი** 0 საათი და 24 წუთი, **ფრედერიკსბერი** 0 საათი და 26 წუთი, **ფორტ-ნელსონი** 1 საათი და 58 წუთი, **ფორტ-ფრეიზერი** 3 საათი და 50 წუთი. (საკდესი).

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მაო ძე-დუნის მეთაურობით

4 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ამხანაგი მაო ძე-დუნი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულზე.

ამხანაგ მაო ძე-დუნთან ერთად მიღებულ იქნენ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სუნ ცინ-ლინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი დენ სიაო-პინი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი პინ დე-ხუაი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გო მო-ჟო, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლი სიან-ნიანი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნებების საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ულანფუ, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ლუ დინ-ი და ჩენ ბო-და, ცნობილი ჩინელი მწერალი შენ იან-ბინი (მაო დუნი), ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები იან შან-კუნი და ხუ ციაო-მუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საიფუდინ აზიზოვი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, საბჭოთა კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინი.

შეხვედრამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

## გეგმების შესრულება

**ლაგოდეხის** რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის სიმინდის, ხილისა და ეთერზეთოვანი კულტურების ჩაბარების წლიური გეგმა.

**სიმინდის, ხილისა და ეთერზეთოვანი კულტურების** დამზადება გრძელდება.

**ზუგდიდის** რაიონმა 1 ნოემბრისათვის შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 2.223 ცენტნერი სამრეწველო პარკი.

**აბრეშუმის** პარკის დამზადება გრძელდება.

(საკდესი).

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

1. **აბდუშელიშვილს** ადამ გიორგის-ძეს — საჩხერის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების თერაპევტიული განყოფილების გამგეს
2. **აზნაუროვას** ეკატერინე ნიკოლოზის ასულს — ახალციხის რაიონული საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილების გამგეს
3. **აშმანი** აშმან ალი ოღლის — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსს
4. **არჩვაძეს** თამარ ვლადიმერის ასულს — ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთის ამბულატორიის გამგეს
5. **ანიკაშვილს** ვლადიმერ გრიგოლის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს
6. **ბარათაშვილს** ანაპოდისტე ნიკოლოზის-ძეს — ქ. ჭიათურის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილეს
7. **ბარნაბიშვილს** კირილე ივანეს-ძეს — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს
8. **ბრეგვაძეს** გრიგოლ ავქსენტის-ძეს — ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაცეხის საუბნო საავადმყოფოს გამგეს
9. **გეგიას** ლუბა კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ღახმარების სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსს
10. **გელაშვილს** ბარბარე გაბრიელის ასულს — ქ. თბილისის მეორე სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს
11. **გეორგიანოვა-ბილანოვას** ევგენია ანდრიას ასულს — ქ. თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის ჯანმრთელობის გამგეს
12. **გერსამიას** ვლადიმერ სიმონის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ თერაპევტს
13. **გოდერძიშვილს** ელენე ნიკოლოზის ასულს — ქ. თბილისის მეშვიდე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარ ექიმს
14. **დავითაშვილს** შალვა ივანეს-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მთავარ რენტგენოლოგს
15. **დიასამიძეს** ავნი მეშედის-ძეს — აჭარის ასსრ რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს
16. **ვართაზაროვს** გიორგი სტეფანეს-ძეს — ახალქალაქის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს
17. **ვეშაპელს** ნინო გიორგის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ფსიქიატრიული ინსტიტუტის ბავშვთა განყოფილების გამგეს
18. **ზურმუხტაშვილს** თამარ გიორგის ასულს — ქ. რუსთავის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს
19. **თოხაძეს** არჩილ არსენის-ძეს — ქ. გორის საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილების გამგეს
20. **იოსავას** ორესტი პროხორის-ძეს — ცხაკაიას რაიონის ვენდისპანსერის სტაციონარის გამგეს
21. **იოსელიანს** კლიმენტი გრიგოლის-ძეს — ჭუთაისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგეს
22. **კალანდაძეს** ფილიპე სერაფიონის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-გინეკოლოგს

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ვ. ი. ლენინი—ოქტომბრის ბელადი

რევოლუციების ისტორიაში არ ყოფილა ბადალი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც კაცობრიობას გზა გაუკაფა სოციალიზმისაკენ. ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორები იყვნენ კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

რთულ პერიოდში — თებერვლიდან ოქტომბრამდე, როცა არნახული სისწრაფით იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება, რაც პარტიისაგან მოითხოვდა მოვლენათა მიმდინარეობის დროულ და სწორ ანალიზს და მოვლენებიდან გამომდინარე კონკრეტულ ამოცანათა განსაზღვრას, ვ. ი. ლენინს მტკიცედ და წინდახედულად მიჰყავდა პარტია, მუშათა კლასი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

ვ. ი. ლენინის რევოლუციური მუშაობა ამ პერიოდში, ისევე როგორც მთელი მისი მოღვაწეობა, არის ნიმუში უდიდესი თეორიული ძალის შეხამებისა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლისადმი ხელმძღვანელობის პოლიტიკურ გამოცდილებასთან.

ვ. ი. ლენინს უკეთ, ვიდრე რომელიმე სხვას, ესმოდა მოვლენათა მიმდინარეობა, იგი სხვებზე ნათლად ხედავდა პერსპექტივებს და სახავდა რევოლუციის განვითარების ერთადერთ სწორ გზებს.

ბურჟუაზიის ხელისუფლების წინააღმდეგ იერიშის ორგანიზაციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების დღეებში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ლენინის უდიდესი ოსტატობა მოვლენათა მსვლელობის განჭვრეტაში, იმის უნარში, რომ შეუცდომლად წაეყვანა მასები გამარჯვებისაკენ.

* * *

სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უაღრესად რთული და პასუხსაგები პერიოდი იყო ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარების პერიოდი. ივლისის ამბებმა გარდატეხა მოახდინა რევოლუციის განვითარებაში. ორხელისუფლებიანობა შეიცვალა ბურჟუაზიის ერთხელისუფლებიანობით. რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა გაქრა. ლენინი, რომელსაც სდევნიდა კონტრრევოლუცია, იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო. პარტიას ესაჭიროებოდა ახალი ტაქტიკის შემუშავება. ლენინმა თავისი სტატიებით „პოლიტიკური მდგომარეობა“, „ლოზუნგებისათვის“ და სხვებით შეაიარაღა პარტია ივლისის შემდგომი ვითარების ნათელი გაგებით, ჩამოაყალიბა პარტიის ამოცანები და ტაქტიკა ბრძოლის ახალ პირობებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ლენინმა გვიჩვენა, რომ ახლა რევოლუციის დიადი ისტორიული ამოცანები შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყებით, მან განუმარტა პარტიასა და მუშათა კლასს, რომ შეიარაღებული აჯანყება შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის ახალი აღმავლობის შედეგად, რომლის გარდუვალობა ნაკარნახები იყო განვითარების მთელი მიმდინარეობით. პარტიის ბელადმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ მუშათა კლასი გაიმარჯვებდა ბურჟუაზიაზე.

იმყოფებოდა რა იატაკქვეშეთში, ლენინს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან, ხოლო მათი მეშვეობით ხელმძღვანელობდა პარტიის VI ყრილობას, რომელმაც თავისი გადაწყვეტილებებით განამტკიცა ახალი ლენინური ტაქტიკა, აიღო რა კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ვ. ი. ლენინმა ოსტატურად დაამუშავა შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკის ძირითადი საკითხები, მისი განხორციელების კონკრეტული გზები და ფორმები. არ ყოფილა აჯანყების პოლიტიკური და ტექნიკური მომზადების არცერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ღრმად და ყოველმხრივ არ დაესაბუთებინოს ლენინს. მუშათა კლასის შეიარაღება, რევოლუციის მხარეზე ჯარების გადაყვანა, აჯანყების ხელმძღვანელი ორგანოების შექმნა, ერთიანი გეგმის შემუშავება, რაც მოახდენდა რევოლუციის მთელი შეიარაღებული ძალების მაქსიმალურ ცენტრალიზაციას მთელი რუსეთის მასშტაბით, — ყოველივე ეს და სხვა საკითხები ამ პერიოდში ლენინის ყურადღების ცენტრში იყო.

ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისა და ენგელსის დებულებები შეიარაღებული აჯანყების შესახებ, გაამდიდრა ისინი მთელი რიგი ახალი თეორიული დებულებებით, მათ შორის აჯანყებისათვის ადგილის, მომენტისა და ხელსაყრელი საბაბის შერჩევის შესახებ, აჯანყებასთან მასების მიყვანის გზების შესახებ, აჯანყების ფორმის, მისი ორგანოების, მისი ლოზუნგების შესახებ, აჯანყებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ აჯანყების წარმატება მთლიანად დამოკიდებულია მასების და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის აქტივობაზე, შეგნებულობაზე, ორგანიზებულობაზე, იმაზე, თუ როგორია მისი გავლენა ყველა მშრომელთა მასებზე. ძლევამოსილი აჯანყების უმნიშვნელოვანეს პირობად ლენინს მიაჩნდა მარქსისტული პარტიის არსებობა, პარტიისა, რომელსაც უნარი შესწევს მოამზადოს აჯანყება და სათავეში ჩაუდგეს მას.

აჯანყების წარმატებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ადგილის სწორად შერჩევის საკითხს. ლენინმა გაიკეთა დასკვნა, რომ იმ ადგილს, სადაც შეიძლება გადაწყვეტილ იქნას ძალაუფლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ამოცანა, წარმოადგენენ მსხვილი სამრეწველო ცენტრები, პირველ რიგში დედაქალაქები. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დედაქალაქის ცენტრებში მძლავრი „დამკვრელი მუშტის“ შექმნას. რევოლუციის გადამწყვეტ მომენტში და გადამწყვეტ პუნქტში გვქონდეს „დამკვრელი მუშტი“, გვქონდეს გადამწყვეტი უპირატესობა მტერზე — ეს არა მარტო „კანონია“ სამხედრო წარმატებებისა, არამედ პოლიტიკური წარმატებების „კანონიც“ არის. 1917 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ლენინი აღნიშნავდა, რომ ორივე დედაქალაქის (პეტროგრადისა და მოსკოვის) რევოლუციური ელემენტების აქტიური უმრავლესობა საკმარისია იმისათვის, რომ წავიყვანონთ მასები, გავანადგუროთ მოწინააღმდეგე, მოვიპოვოთ ძალაუფლება და შევინარჩუნოთ იგი. პეტროგრადსა და მოსკოვში გამარჯვება განპირობებული იყო იმით, რომ მათში ბოლშევიკებს „ძალების უდიდესი სიჭარბე და ძალიან სერიოზული პოლიტიკური მომზადება გვქონდა, როგორც ბოლშევიკური „არმიების“ შეგროვების, თავმოყრის, გაწრთვნის, გამოცდის, გამოწრთობის მხრივ, ისე „მტრის“ „არმიების“ გახრწნის, დაუძლურების, დაქსაქსვის, დემორალიზაციის მხრივ“ (თხზ., ტ. 30, გვ. 303-304).

ცენტრალური კომიტეტისადმი, პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტებისადმი 12-14 სექტემბრის წერილში ლენინი წერდა: „თუ **ერთბაშად** ავიღებთ ხელისუფლებას მოსკოვშიც და პეტერშიც (დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დაიწყებს; შეიძლება, თუნდაც მოსკოვმა დაიწყოს), **უთუოდ და უეჭველად** გავიმარჯვებთ“ (თხზ., ტ. 26, გვ. 4).

მაგრამ რა დიდიც უნდა ყოფილიყო მოსკოვის მნიშვნელობა, რაც უფრო ვითარდებოდა მოვლენები, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ მთავარი დარტყმა მტერზე პეტროგრადში უნდა მომხდარიყო. 8 ოქტომბერს (ძვ. სტილით), აჯანყების დაწყებამდე 16 დღით ადრე, „წერილში ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების საოლქო ყრილობის მონაწილე ამხანაგ ბოლშევიკებისადმი“, ლენინი აღნიშნავდა, რომ აჯანყების გადამწყვეტი ადგილი პეტროგრადი უნდა იყოს.

პეტროგრადში დაწყებულ აჯანყებას ამა თუ იმ ფორმით მხარდაჭერა უნდა ეპოვნა მთელ ჩვენს ქვეყანაში კონკრეტული პირობებისა და ძალების განლაგებისაგან დამოკიდებით. ლენინმა კარგად იცოდა, რომ არ შეიძლებოდა მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედების წარმოება, თუ რევოლუციის ფრონტი რეზერვებით არ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუ გამაგრებული არ იქნებოდა ზურგი. ლენინის მითითებების საფუძველზე ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა ქვეყნის ცალკეული ცენტრების კონკრეტული ამოცანები აჯანყების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად პეტროგრადში.

მთელ რუსეთში გამოსვლის მომზადების ლენინური ტაქტიკა კომუნისტურ პარტიას საშუალებას აძლევდა მოეზიდა ფართო მასები გადამწყვეტი მოქმედების მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის, სწორად გაენაწილებინა ძალები ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე და ეწარმოებინა მათი უნარიანი მანევრირება. ასეთი ტაქტიკა ქმნიდა პირობებს მტერზე გამარჯვებისათვის რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის გაღებით. იგი იძლეოდა კონტრრევოლუციის მანევრების



ვ. ი. ლენინი. ნახატი ვ. ციმლაკოვისა.

აღკვეთის შესაძლებლობას და ქმნიდა მტკიცე ბაზას მოპოვებული პოზიციების გამაგრებისათვის, საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად ძალების გადაჯგუფებისათვის.

* * *

ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და გატარებაში, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 და 16 ოქტომბრის ისტორიულ სხდომებს. ისინი მიმდინარეობდნენ ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის სხდომის ცოტა ხნის წინ ლენინი არალეგალურად დაბრუნდა პეტროგრადში. იგი დაბინავდა კონსპირაციულ ბინაში ვიბორგის მხარეზე. ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის სხდომაზე, როცა, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, წყდებოდა ხელისუფლების საკითხი, იგი გამოვიდა მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ, ღრმა ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო და საშინაო ვითარებას, რომელიც მოწმობდა, რომ საჭირო იყო შეიარაღებული აჯანყების უაღრესად დაჩქარებული მომზადება.

პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის ცენტრალური კომიტეტის წევრებიდან არჩეულ იქნა ბიურო 7 კაცის შემადგენლობით ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ ეყრდნობოდა საშინაო და საერთაშორისო ვითარების ზუსტ მეცნიერულ გათვალისწინებას. იგი ეყრდნობოდა ხალხის უმრავლესობის თანაგრძნობას კომუნისტური პარტიისადმი. იგი გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლური პოლიტიკა პრაქტიკულად გათიცლდებოდა მოვლენათა მსვლელობაში. ეს გადაწყვეტილება ეყრდნობოდა კომუნისტური პარტიის მიერ უმრავლესობის მოპოვებას საბჭოებში — მშრომელთა მასობრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ხელისუფლებისათვის ბრძოლის ორგანოებში. იგი ითვალისწინებდა იმას, რომ არმიაში საესებით მომწიფებული იყო აღშფოთება დროებითი მთავრობის მიმართ, რომელიც ხალხის ნებასურვილის წინააღმდეგ აგრძელებდა უსამართლო ომს. იგი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ კომუნისტური პარტიის მოწოდებები: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, „მიწა გლეხებს!“, „მუშათა კონტროლი წარმოებაზე!“, „დემოკრატიული ზავი ხალხებს!“ და სხვები ფართოდ გახდნენ ცნობილი და პოპულარული მშრომელ მასებს შორის. ისინი ეყრდნობოდნენ იმ რწმენას, რომ მშრომელი გლეხობა მხარს დაუჭერდა პროლეტარიატს მის ბრძოლაში ძალაუფლებისათვის, რასაც ადასტურებდა გლეხთა აჯანყებები მემამულეების წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობდა იქიდან, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა არ იძლეოდა კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის რაიმე იმედებს.

რეზოლუცია მიღებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის მიერ, გარდა კამენევისა და ზინოვიევისა. ეს კაპიტულანტები ამტკიცებდნენ, აჯანყება ჩასაფუშავად არის განწირული, და წინადადებას იძლეოდნენ, დაველოდოთ დამფუძნებელ კრებას, სადაც კომუნისტები ძლიერი ოპოზიცია იქნებიან და მემარცხენე ესერებთან ერთად შექმნიან მმართველ ბლოკს, რომელიც ჩვენს პროგრამას გაატარებსო.

ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე 16 ოქტომბერს განხილულ იქნა პრაქტიკული საკითხები, რომლებიც გამომდინარეობდნენ ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის სხდომის რეზოლუციიდან. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ლენინი. გამოაქვეყნა რა ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის რეზოლუცია, მან ყოველმხრივ დაასაბუთა იგი. მხოლოდ კამენევი და ზინოვიევი ცენტრალური კომიტეტის ამ სხდომაზე კვლავ გამოვიდნენ აჯანყების წინააღმდეგ. ისინი ცენტრალურ კომიტეტს ბრალს სდებდნენ შეთქმულებითს ტაქტიკაში, მოითხოვდნენ ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის რეზოლუციის გადასინჯვას, წინადადებას აძლევდნენ პარტიას დასდგომოდა „თავდაცვისა და ლოდინის ტაქტიკას“. ლენინმა გადამწყვეტი პასუხი გასცა კაპიტულანტებს, გააქარწყლა ყველა მათი „საბუთი“ აჯანყების წინააღმდეგ.

ცენტრალური კომიტეტის დახურულ სხდომაზე არჩეულ იქნა აჯანყების ხელმძღვანელი პარტიული ცენტრი ი. მ. სვერდლოვის, ი. ბ. სტალინის, ა. ს. ბუბნოვის, მ. ს. ურიცკის, ფ. ე. ძერჟინსკის შემადგენლობით.

რაკი სავსებით ჩაეფუშათ ცდა პარტიულობის ფარგლებში ჩაეშალათ 10 და 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, კამენევი და ზინოვიევი დაადგნენ პირდაპირი გამცემლობის გზას, 18 ოქტომბერს მენშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ გამოაქვეყნეს განცხადება ბოლშევიკების მიერ აჯანყების მომზადების შესახებ. ლენინმა კაპიტულანტების მოქმედება მიიჩნია გაუგონარ შტრეიკბრეხერობად და მოითხოვდა პარტიიდან მათს დაუყოვნებელ გარიცხვას.

ცენტრალური კომიტეტის 10 და 16 ოქტომბრის ისტორიულ სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებანი ნათლად მოწმობდნენ, რომ ცენტრალური კომიტეტი, როგორც პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანო, მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდა შეიარაღებული აჯანყების ლენინურ ტაქტიკურ ხაზს. ეს სხდომები მკაფიოდ ახასიათებენ ლენინს, როგორც რევოლუციის გენიალურ სტრატეგს, რომელიც თავის სტრატეგიულ და ტაქტიკურ ჩანაფიქრებს, გეგმებს ახორციელებს ცენტრალური კომიტეტის — პარტიის საბრძოლო შტაბის მეშვეობით, განასახიერებს მათ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, რომლებიც მთელი პარტიის ნებისყოფას გამოხატავენ.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა აჯანყების შემუშავებული გეგმა, რომელიც მთლიანად და სავსებით ეყრდნობოდა იმ პრინციპულ მითითებებს, რომლებიც ლენინმა მოგვცა თავის წერილებში ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული ორგანიზაციებისადმი, აგრეთვე საუბრებში ცენტრალური კომიტეტის, პეტროგრადის კომიტეტისა და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრებთან.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა აჯანყების კონკრეტული გეგმა, რომელიც ეყრდნობოდა მტერზე უეცარი, გაბედული და გადამწყვეტი შეტევის ტაქტიკას. გეგმაში მკაფიოდ იყო განსაზღვრული აჯანყების ამოცანა, მისი ადგილი, ძალები, ოპერატიული ჩანაფიქრი, მისი უზრუნველყოფის ტაქტიკური საშუალებები. აჯანყების ამოცანა იყო ბურჟუაზიის ანტიხალხური დროებითი მთავრობის დამხობა და ძალაუფლების აღება პროლეტარიატის მიერ. აჯანყების ადგილი იყო პეტროგრადი, რომლის ხელში ჩაგდება წინასწარ წყვეტდა რევოლუციის გამარჯვებას მთელ ქვეყანაში. აჯანყების მთავარი ძალები იყო მუშათა წითელი გვარდია, არმიისა და ფლოტის რევოლუციური ნაწილები (პირველ რიგში ბალტიის ფლოტი, დედაქალაქისა და მისი მიდამოების რევოლუციური სამხედრო გარნიზონი, ფინეთში დაბინავებული რევოლუციური ჰოლკები). ოპერატიული ჩანაფიქრი იყო წითელი გვარდიის რაზმების, რევოლუციური მატროსებისა და ჯარისკაცების კომბინირებული იერიში პეტროგრადის გარედან და შიგნიდან.

შეიარაღებული აჯანყების მომენტის შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აჯანყების წარმატებით განხორციელების ტაქტიკაში. ამ საკითხის გადაწყვეტამ პარტიისაგან მოითხოვა დიდი სიმტკიცე. აჯანყების მომენტის სწორ შერჩევაზე იყო დამოკიდებული მისი წარმატება. დაგვიანება ან აჩქარება დამარცხებას ნიშნავდა. პარტია ბრძოლას ეწეოდა როგორც იმათ მემარჯვენე-ოპორტუნისტულ სიმხდალესთან, ვინც სინამდვილეს, აჯანყებისათვის მომწიფებულ პირობებს ჩამორჩებოდა, ისე იმათ წინააღმდეგაც, ვინც აჩქარებით, ბრმად გარბოდა წინ — ადგებოდა მომემარცხენე ავანტიურიზმის გზას.

სწორად შეარჩიო შეიარაღებული აჯანყების მომენტი, გვასწავლიდა ლენინი, ეს ნიშნავს ზუსტად გაითვალისწინო როგორც მასების რევოლუციური განწყობილება, მათი მტკიცე მზადყოფნა გამოსვლისათვის, ისე მოწინააღმდეგის ბანაკში დეზორგანიზაციის, დაშლისა და რღვევის მდგომარეობაც. სწორად შეარჩიო აჯანყების მომენტი — ეს ნიშნავს საკუთარ ხელში აიღო მისი ინიციატივა, დაასწრო ნტერს. სწორად შეარჩიო აჯანყების მომენტი — ეს ნიშნავს გაიმარჯვო დანამდვილებით უმცირესი მსხვერპლითა და მისი განხორციელების ყველაზე უმტკივნეულო ფორმებით.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც ლენინი აძლევდა გეზს, აჯანყების მომენტის შერჩევის უნარის ნიმუში მოგვცა. დროებითი მთავრობის ცდა დაეხურა პარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი „რაბოჩი პუტ“ (ასე ეწოდებოდა მაშინ „პრავდას“), ამ კონტრრევოლუციური აქტის წინააღმდეგ მასების რევოლუციური აღშფოთების აფეთქება გამოიყენა პარტიამ აჯანყების საბაბად, სიგნალად.

ლენინი, რომელიც კონსპირაციულ ბინაზე იმყოფებოდა, 1917 წლის 24 ოქტომბრის საღამოს დაწერილ წერილში ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი აღნიშნავდა: „...მდგომარეობა უაღრესად კრიზისულია. ცხადზე უცხადესია, რომ ახლა, ჭეშმარიტად, აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის.

მთელი ძალ-ღონით ვარწმუნებ ამხანაგებს, რომ ახლა ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, რომ დღის წესრიგში ისეთი საკითხები დგას, რომლებსაც თათბირები, ყრილობები (თუნდაც საბჭოების ყრილობები) კი არ წყვეტენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხალხები, მასა, შეიარაღებული მასების ბრძოლა...

როცა დღეს ხელისუფლებას ვიღებთ, ვიღებთ მას არა საბჭოების წინააღმდეგ, არამედ მათთვის.

ხელისუფლების აღება აჯანყების საქმეა...

მთავრობა მერყეობს. **ბოლო უნდა მოვუღოთ** მას, რადაც უნდა დაჯდეს!

გამოსვლის დაყოვნება სიკვდილს უდრის“ (თხზ., ტ. 26, გვ. 269, 270, 271).

ლენინის ეს მითითებები საფუძვლად დაედო ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკულ საქმიანობას აჯანყების განსახორციელებლად.

კომუნისტურმა პარტიამ საშუალება არ მისცა დროებითს მთავრობას დაესწრო აჯანყებისათვის, ხელში ჩაეგდო ინიციატივა. რევოლუციის მთელი მექანიზმი სწრაფად იქნა მოყვანილი მოძრაობაში. ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, სახელმწიფო ბანკი და სახელმწიფო ქაღალდების დამზადების ექსპედიცია მუშათა წითელი გვარდიის რაზმებმა, რევოლუციურმა მატროსებმა და ჯარისკაცებმა ისე აიღეს, რომ ერთი გასროლაც არ დასჭირებიათ.

აჯანყების მაორგანიზებელი ძალა, მისი დამკვრელი ბირთვი იყო დედაქალაქის კომუნისტთა პარტიული ორგანიზაცია, რომლის რიგებში 50 ათასი წევრი ითვლებოდა. ამ ბირთვს მიჰყვებოდა პეტროგრადისა და მისი გარეუბნების 25 ათასზე მეტი წითელგვარდიელი, პეტროგრადის გარნიზონის 50 ათასამდე ჯარისკაცი და კრონშტადტის ამდენივე მეზღვაური, რომლებიც მზად იყვნენ „ლოზუნგით „გამარჯვება ან სიკვდილი!“ ებრძოლნათ ბურჟუაზიის ხელისუფლების წინააღმდეგ, მშრომელთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სოციალიზმისათვის.



ლენინგრადი. ჯავშნიანი ავტომობილი, რომელიც დადგმულია ვ. ი. ლენინის მუზეუმის შესასვლელთან. 1917 წ. 3 (16) აპრილს ფინეთის ვაგზალთან ამ ჯავშნიანი ავტომობილიდან გაისმა ვ. ი. ლენინის დიადი მოწოდება: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

24 ოქტომბერს საღამოს ლენინმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დატოვა თავისი უკანასკნელი კონსპირაციული ბინა და მივიდა სმოლნში — აჯანყების შტაბში, საიდანაც განაგრძობდა აჯანყების ხელმძღვანელობას, სწვდებოდა ყველა დეტალს, იძლეოდა კონკრეტულ მითითებებს აჯანყების განხორციელებისათვის.

დედაქალაქის ძირითადი ტაქტიკური პუნქტების დაკავებამ წინასწარ განსაზღვრა აჯანყების გამარჯვება.

* * *

25 ოქტომბრის დილის 10 საათზე სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ცალკე ფურცლად გამოაქვეყნა ლენინის მიერ დაწერილი ისტორიული მოწოდება „რუსეთის მოქალაქეებისადმი!“ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ეს ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამი იყო:

„დროებითი მთავრობა დამხობილია...

ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დემოკრატიული ზავის წინადადების დაუყოვნებლივ წამოყენება, მიწის მემამულური საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლი წარმოების მიმართ, საბჭოთა მთავრობის შექმნა, — ეს საქმე უზრუნველყოფილია.

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციას!“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 275).

ეს მოწოდება გადაცემული იყო რადიოტელეგრაფით კრეისერ „ავრორას“ რადიოსადგურის მეშვეობით. ამ-ღიგად, მისი შინაარსი ცნობილი გახდა მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

დღის 2 საათსა და 35 წუთზე პეტროგრადის საბჭოს სასწრაფო სხდომაზე მოხსენებით საბჭოების ხელისუფლების ამოცანების შესახებ პირველად ვლადიმირ ილიჩის ამბების შემდეგ საჯაროდ გამოვიდა ლენინი. საბჭოების სხდომაზე მის გამოჩენას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. აფასებდა რა რევოლუციის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, ლენინმა გამოთქვა რწმენა, რომ მან საბოლოო ანგარიშით უნდა მიგვიყვანოს სოციალიზმის გამარჯვებამდე.

25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) საღამოს 10 საათსა და 45 წუთზე პეტროგრადში, სმოლნში, გაიხსნა საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობა. რევოლუციის ძირეული საკითხი — საკითხი ხელისუფლების შესახებ ყრილობის გახსნამდე გადაწყვიტა ძლევამოსილმა შეიარაღებულმა აჯანყებამ, როგორც ეს წინასწარ იყო გათვალისწინებული ლენინის მიერ. საბჭოების ყრილობამ ძალაუფლება მიიღო პეტროგრადის საბჭოსაგან, მისი ორგანოსაგან — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისაგან.

საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ ლენინის მოხსენების მიხედვით მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ, რომელმაც გამოაცხადა დემოკრატიული ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ. ამ დეკრეტით საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპებს.

საბჭოების ყრილობის მიერ მიღებული ლენინური დეკრეტი მიწის შესახებ რევოლუციური გზით სწყვეტდა საკითხს მემამულური მიწათმფლობელობის შესახებ, გამანადგურებელ ლახვარს სცემდა ბატონყმობის ნაშთებს რუსეთში. ამ დეკრეტით მიწის მემამულური საკუთრება უქმდებოდა დაუყოვნებლივ და გამოუსყიდველად, მიწის კერძო საკუთრების უფლება იკვლებოდა მიწის საერთო-სახალხო სახელმწიფოებრივი საკუთრებით.

საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ დააარსა სახელმწიფოს ახალი ტიპი — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო.

ლენინი აღნიშნავდა, რომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოძრაობის მზა ორგანიზაციული ფორმების — საბჭოების არსებობას, რომლებიც შემოწმებული იყვნენ 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილებით. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ „ხელისუფლების ახალი ფორმა მზად იყო, და ჩვენ ისღა გვრჩებოდა, რომ საბჭოების ხელისუფლება იმ ემბრიონალური მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდა რევოლუციის პირველ თვეებში, რამდენიმე დეკრეტით გადაგვეყვანა რუსეთის სახელმწიფოში დამკვიდრებულ, კანონიერად-აღიარებულ ფორმად — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკად“ (თხზ., ტ. 27, გვ. 91).

„საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტი“. მხატვარ ა. ი. სეგალის სურათი (1951 წლის სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა). საკლესის ფოტოქრონიკა.

საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ შექმნა პირველი საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო ლენინის მეთაურობით.

კომუნისტურმა პარტიამ იმიტომ გაანახორციელა წარმატებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორის როლი, რომ იგი თანამიმდევრულად და ბოლომდე გამოხატავდა და იცავდა მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, უნარიანად ხელმძღვანელობდა მასების ბრძოლას ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის.

**ი. პეტროვი.**

# ᲣᲠᲚᲕᲔᲕᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ".

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ვ. პ. მეჟავანაძემ.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავდნენ და ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების ყოველი ღონისძიებით ამაღლებისა და შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ შობილი საბჭოთა არმია ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თანამედროვე არმიაა. პარტიასა და ხალხს თავისი არმია და ფლოტი ყველაზე ახლობელ ღვიძლ პირმშოდ მიაჩნიათ. ისინი ეკიდებიან საბჭოთა მეომრებს სიყვარულითა და ყურადღებით მათი უსაზღვრო ერთგულებისათვის სოციალისტური სამშობლოსადმი, იმ საგმირო საქმეებისათვის, რაც მათ განახორციელეს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის მეოხებით, ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობის, მძიმე მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მიღწეულ უდიდეს წარმატებათა საფუძველზე საბჭოთა შეიარაღებული ძალები ახალ უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. ისინი აღჭურვილი არიან ყველა სახეობის თანამედროვე სამხედრო ტექნიკით.

ჩვენი შეიარაღებული ძალების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა, — აბობს ამხ. მეჟავანაძე, — მაღალ დონეზეა. საბჭოთა არმია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართა საიმედო დამცველია, პირნათლად ამართლებს სსრ კავშირის ხალხთა სიყვარულსა და ნდობას. საბჭოთა არმიის მშენებლობის მთელი გამოცდილება მოწმობს, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერების მთავარი წყაროა ის, რომ მათ ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომელიც წარმართავს და ზრდის არმიას, ხელმძღვანელობს მის მშენებლობას.

ამ ლენინურ პრინციპს უხმენდა არღვევდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამხ. ჟუკოვი, რომელიც ახორციელებდა იმ გეზს, რომ შეიარაღებული ძალები მოეწყვიტა პარტიისაგან, დაეუსუსტებინა პარტიული ორგანიზაციები და ფაქტიურად გაეუქმებინა პარტიული ორგანოები არმიასა და ფლოტში, თავი აერიდებინა კონტროლისათვის პარტიასა და მისი ცენტრალური კომიტეტის მხრივ. უგულებელყოფდა რა არსებითად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, იგი ნერგავდა საბჭოთა არმიაში თავისი პიროვნების კულტს. ამხ. ჟუკოვმა დაიგიწყა, რომ ყველა, ვინც ეეცდება თავი დაუპირისპიროს პარტიას, მიუხედავად წარსული დამსახურებისა, დაკარგავს პარტიისა და ხალხის პატივისცემასა და ნდობას.

ამხ. მეჟავანაძე შეეხო სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დამახინჯებებს, რაც დაუშვა ამხ. ჟუკოვმა, ილაპარაკა საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ პარტიასა და ხალხს დაუსახა ამოცანა: იქონიონ ჩვენი თავდაცვა თანამედროვე სამხედრო ტექნიკისა და მეცნიერების დონეზე, უზრუნველყონ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს უშიშროება, აღზარდონ სამხედრო მოსამსახურენი, ყველა მშრომელი საბჭოთა სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაძლიერებით ჩვენი შეიარაღებული ძალების რიგებში, მათი პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტორგანოების როლის ყოველმხრივ გადიდებით.

საჭიროა, რომ ყველა კომუნისტმა, ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ გააძლიეროს ყურადღება და ზრუნვა საბჭოთა მეომრებისათვის, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი არმიისა და ფლოტის პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტორგანოების მუშაობას, მათ წინაშე მდგომი დიდი და საპატიო ამოცანების სანიმუშოდ შესრულებას.

იმ ამოცანების წარმატებით განხორციელება, რომლებსაც სახავდა და სახავს კომუნისტური პარტია, დამაჯერებლად მოწმობს, რომ ყველა მისი ლოზუნგი, წამოწყება, ყველა გადაწყვეტილება შეესაბამება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ძირეულ ინტერესებს.

ჩვენი პარტიის ძალაა მისი რიგების იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა. მთელი თავისი გმირული ისტორიის მანძილზე პარტია მტკიცედ იბრძოდა ერთიანობისათვის, სხვადასხვა ანტიპარტიული ჯგუფისა და მიმდინარეობის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ პარტიის ლენინური ერთიანობა მშრომელთა კეთილდღეობისათვის მისი წარმატებით საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა სოციალისტური საზოგადოების ძლიერების საიმედო გარანტიაა, კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობის საწინდარია.

კამათში გამოსულმა ყველა ამხანაგმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გ. კ. ჟუკოვის გამოყვანის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები მთელ ძალებს მოახმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ე. პ. ტაკიძემ** აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ოქტომბრის დიად მონაპოვართა სადარაჯოზე მდგომი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. ამას თვალნათლად ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, რომლის მიზანია არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება და იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რომლებიც გამოიწვია თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჟუკოვის არასწორმა მოქმედებამ.

— ჩვენი პარტია, — თქვა ამხ. ტაკიძემ, — ყოველთვის გაბედულად ამხილებდა და ამხილებს ნაკლოვანებებს, ახორციელებს ენერგიულ ღონისძიებებს მათი ლიკვიდაციისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო არმიისა და ფლოტისათვის, არამედ აგრეთვე მთელი პარტიისათვის. იგი ხელს შეუწყობს კადრების სწორად აღზრდას, პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, პარტიის მართველობელი როლის გაძლიერებას კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

სიტყვა ეძლევა გენერალ-პოლკოვნიკ **ნ. ფ. პაპივინს.**

— არმიის კომუნისტები, ჩვენი შეიარაღებული ძალების ყველა მეომარი, — ამბობს იგი, — ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას. ისინი მკაცრად გმობენ თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჟუკოვის მოქმედებას, რომელიც ცდილობდა შეეკვეცა არმიისა და ფლოტის პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტორგანოების მუშაობა, ახორციელებდა იმ გეზს, რომ მოესპო კონტროლი შეიარაღებული ძალებისადმი პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მხრივ, რაც მავნებელი და საშიში იყო სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ხელს შეუწყობს პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტორგანოების აქტიურობის გაძლიერებას საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომართა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებისათვის წარმოებულ მუშაობაში. არმიის კომუნისტები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლებენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ა. გეგეშიძემ** ილაპარაკა დიდ წარმატებებზე, რომლებითაც საქართველოს დედაქალაქის მშრომელნი ეგებებიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს. საბჭოთა ადამიანები ამყობენ მათ მიერ მოპოვებული დიადი გამარჯვებებით, რწმენით შეჰყურებენ ნათელ მომავალს. ისინი ერთსულოვნად იწონებენ კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცება, მისი მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება.

მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მიერ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპირფერილი ანტიპარტიული ჯგუფის გამთიშველი მოქმედების მხილებამ და ერთსულოვნად დაგმობამ ხელი შეუწყო პარტიის რიგების შემდგომ განმტკიცებას, პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი გაბედულად და მტკიცედ, ყოველგვარი „ავტორიტეტის" მიუხედავად, აღკვეთენ იმათ მოქმედებას, ვინც ხელს უშლის კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის განხორციელებას, ცდილობს ძირი გამოუთხაროს მის ერთიანობას. ამიტომ ჩვენ კმაყოფილებით ვხედებით მტკიცე და დროულ ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჟუკოვის მიერ დაძვებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

ამხ. გეგეშიძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ საკითხს, რომ საჭიროა საწარმოთა, მშენებლობათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ საბჭოთა არმიის მეომრებთან.

გენერალ ლეიტენანტ **ნ. ი. ტელეგინის** გამოსვლაში მოყვანილი იყო სერიოზულ შეცდომათა და ნაკლოვანებათა მაგალითები თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჟუკოვის საქმიანობაში, რომელიც ცდილობდა განედიდებინა თავისი როლი დიდ სამამულო ომში.

— ჩვენი პარტიის ძალას, — თქვა ამხ. ტელეგინმა, — შეადგენს ხელმძღვანელობის კოლექტიურობა. ეს არის საწინდარი ყველა ჩვენი წარმატებისა კომუნისტურ შშენებლობაში. თავისი ისტორიის მთელ მანძილზე საბჭოთა არმია მუდამ უსაზღვრად ერთგული იყო კომუნისტური პარტიისა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ხელს შეუწყობს შეიარაღებული ძალების, ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა** აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, ცხადჰყო ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის რიგების მონოლითური ერთიანობა და შეკავშირება. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებამ შეიარაღებულ ძალებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ამხ. ჟუკოვის გამოყვანის შესახებ საყოველთაო მოწონება გამოიწვია. ამხ. ჟუკოვის პირადი მონაწილეობით, იმის შედეგად, რომ მან დაკარგა პარტიული თავმდაბლობა, საბჭოთა არმიაში დაიწყო მისი პიროვნების კულტის დანერგვა, მის საამებლად მახინჯდებოდა დიდი სამამულო ომის ნამდვილი ისტორია, დაკნინებული იყო საბჭოთა ხალხის გიგანტური ღონისძიებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — ამ ომში გამარჯვების ორგანიზატორის ხელმძღვანელი და შთამაგონებელი როლი.

კომუნისტური პარტიის მიერ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შექმნილმა და აღზრდილმა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, განვლეს სახელოვანი გმირული გზა. კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვართ თავიანთი მშობლიური არმია და თავიანთი მშობლიური ფლოტი სოციალისტური სამშობლოსადმი მათი ერთგულებისათვის.

დიდი ოქტომბრის ორმოცი წლისთავის წინ ჩვენი ქვეყნის ხალხები პატრიოტული სიამაყით ავლებენ თვალს გზას, რომელიც მათ განვლეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენს პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა. საბჭოთა ხალხი მუდამ უსაზღვრო ნდობით ეკიდებოდა და ეკიდება თავის პარტიას, მხარს უჭერდა და მხარს უჭერს მის პოლიტიკას, როგორც საკუთარ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მის სანუკვარ ფიქრებსა და მისწრაფებებს.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **დ. მ. მამულაძე** თავის გამოსვლაში ლაპარაკობდა საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომაზე, ხალხისა, რომელიც იბრძვის კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა. ყველა ჩვენი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დაკავშირებულია კომუნისტურ პარტიასთან, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დიდი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ჟუკოვი მოწყდა პარტიულ ცხოვრებას, ცდილობდა თავი დაეპირდაპირებინა პარტიისათვის, ახორციელებდა პარტიისაგან არმიისა და ფლოტის მოწყვეტის ხაზს. მის საქმიანობაში წინათაც იყო შენიშნული ნაკლოვანებანი, რომლებზეც მას პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა. მან არასწორად გაიგო მის დამსახურებათა მაღალი შეფასება, გაღრმავა თავისი შეცდომები.

ჩვენ სავსებით ვიწონებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან ამხ. ჟუკოვის გამოყვანის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობას. ეს დადგენილება დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს გვაკისრებს. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება და ზრუნვა საბჭოთა მეომრებისადმი, ყოველდღიური დახმარება გაუწიონ საბჭოთა არმიისა და ფლოტის პარტიულ ორგანიზაციებსა და პოლიტორგანოებს.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრის, გენერალ-მაიორ **დ. ა. ივაშჩენკოს** გამოსვლაში აღძრული იყო საკითხები, რომლებიც ეხება შეიარაღებული ძალების რიგებში პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ჯარის ნაწილების პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტორგანოების კავშირის განმტკიცებას, საშეფო მუშაობის აქტივიზაციას.

— კომუნისტი არმიელები, — თქვა მან, — საბჭოთა არმიის ყველა მეომართან ერთად მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას, აღფოთქვამენ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ისინი უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეს.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ო. დ. გოცირიძემ** გააკრიტიკა სარდლობის მანკიერი სტილი, რასაც ჟუკოვი ნერგავდა, აღნიშნა, რომ საჭიროა დამყარდეს არმიისა და ფლოტის პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტორგანოების მჭიდრო კონტაქტი აგდილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან.

— საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის კომუნისტები, — განაცხადა ამხ. გოცირიძემ, — ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას, რომლის მიზანია შეიარაღებულ ძალებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება,

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ამხ. **ი. ბ. აბაშიძემ** აღნიშნა, რომ სწორი და დროულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებანი არმიისა და ფლოტის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ჩვენი არმიისა და ფლოტის ძალა და უძლეველობა არის პარტიული ხელმძღვანელობა, ხალხთან არმიის მჭიდრო და განუყრელი კავშირი. არასაკმაო პარტიულობის გამო ამხ. ჟუკოვმა სწორად ვერ გაიგო თავისი დამსახურების მაღალი შეფასება პარტიისა და მთავრობის მხრივ.

ამხ. აბაშიძემ განაცხადა, რომ საჭიროა ამაღლდეს საშეფო საქმიანობა ჯარის ნაწილებში, მეტი ყურადღება მიექცეს აღმზრდელობით მუშაობას საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომართა შორის საყვარელი სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების, ხალხთა ურღვევი მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

პოლკოვნიკმა **ვ. ი. სეროვმა** ილაპარაკა იმაზე, რომ საზღვრო ჯარების კომუნისტები, ისე როგორც საბჭოთა შეიარაღებული ძალების ყველა კომუნისტი და მეომარი, კმაყოფილების დიდი გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას. ეს დადგენილება მოწმობს დიდ ზრუნვას, რასაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი იჩენს საბჭოთა არმიისა და ფლოტის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვანახშირის, ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. **ბ. ი. გუჯეჯიანმა,** რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ი. დ. ვიშნიაკოვმა** ილაპარაკეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა უდიდეს პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაზე, რომლებიც დიდი ოქტომბრის სახელოვან მე-40 წლისთავს ხვდებიან ახალი საწარმოო წარმატებით, ილაპარაკეს იმაზე, რომ ისინი მზად არიან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საქართველოს პარტიული აქტივის კრება სავსებით და მთლიანად იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას. რეზოლუციის დასკვნითს ნაწილში აღნიშნულია: პარტიული აქტივის კრება მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი, ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავიანთ ღონისძიებებს კვლავაც წარმართავენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. (საქდესი).

## ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გაიმართა პარტიული აქტივის კრებები, რომლებმაც განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ".

კრებებმა ყველგან ჩაიარა ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო პარტიული რიგების მონოლითური დარაზმულობის ნიშნით. კრებებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და თბილისის გარნიზონის პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგების შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ. კრებაზე გამოსულმა არმიელმა კომუნისტებმა ილაპარაკეს იმაზე, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამხ. ჟუკოვი უხეშად თელავდა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს, ახორციელებდა იმ გეზს, რომ შეეკვეცა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა არმიასა და ფლოტში. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე „საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო არმიისა და ფლოტისათვის, არამედ ამასთანავე მთელი პარტიისათვის.

აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. პ. ვ. კოვანოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგების შესახებ. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს მარშალ გ. კ. ჟუკოვის ანტიპარტიული მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა არმიისა და ფლოტის პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტორგანოების დასუსტებას.

სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივმა თავის კრებაზე განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. ნ. ინაურის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ. კამათში გამოსულმა ყველა ამხანაგმა აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა.

აქტიურად განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ს. დოლიძემ და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ დროულია ის ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ფოთის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ. კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება.

გორის საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების მონაწილეებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. ნ. ინაურის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ. კამათში გამოსულმა ყველა ამხანაგმა აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა.

აქტიურად განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ს. დოლიძემ და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ დროულია ის ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. (საქდესი).

## ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ Ფ. Ე. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: დამთვალიერებელთა ერთი ჯგუფი ფ. მახარაძის სახლ-მუზეუმში.

ფოტო ნ. ერქომაიშვილისა.

დიდი გამოცოცხლებაა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში. პატარა, ლამაზი სახლის ეზოში, მრავალ სტუმარს მოუყრია თავი. ისინი აქ მოვიდნენ გამოჩენილი რევოლუციონერის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელის ფილიპე ესეს-ძე მახარაძის სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით. სტუმრებს შორის არიან: უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, საქართველოს სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლები.

მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი გახსნა საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ჭანუყვაძემ.

— განსაკუთრებით სასიხარულოა ის გარემოება, — ამბობს ამხ. ჭანუყვაძე, — რომ ფ. ე. მახარაძის სახლ-მუზეუმის გახსნა ემთხვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის საზეიმო დღეებს. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დაუფასეს ამაგი ძველი ბოლშევიკების პლეადის თვალსაჩინო წარმომადგენელს ფ. ე. მახარაძეს.

ტრიბუნაზეა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. კომახიძე. ამხ. კომახიძემ დამსწრეთ მოუთხრო ფ. ე. მახარაძის მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

მიტინგის მონაწილეებს მიესალმა აფხაზეთ

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

(დასასრული. დასაწყისი I გვერდზე)

23. **კასუმოვს** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო განყოფილების სამედიცინო სამსახურის სტაციონარის უფროსს

24. **კახიანს** ვალერიან ბესარიონის-ძეს — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების საექიმო უბნის გამგეს

25. **კახიანს** შალვა ვიქტორის-ძეს — ქ. თბილისის სანეპიდსადგურის მთავარ ექიმს

26. **კვანტალიანს** ილია დავითის-ძეს — ქ. თბილისის პირველი სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს

27. **კირვალიძეს** ივანე ნიკოლოზის-ძეს — გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს

28. **კორძახიას** ილია ეგნატეს-ძეს — ქ. ფოთის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების უბნის პედიატრს

29. **ლაკობას** ეკატერინე მიხეილის ასულს — აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური საავადმყოფოს ფიზიოთერაპევტს

30. **მაისურაძეს** ვახტანგ იოსების-ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო განყოფილების სამედიცინო სამსახურის ექიმ-ორდინატორს

31. **მირზაშვილ-ჩოფიკაშვილს** ოლღა ივანეს ასულს — ქ. თბილისის ბავშვთა მესამე საავადმყოფოს ექიმ-პედიატრს, ამჟამად პენსიონერს

32. **მგელაძეს** ზინაიდა ანტონის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის ასისტენტს, ამჟამად პენსიონერს

33. **მგელაძეს** ქეთევან ალექსანდრეს ასულს — მახარაძის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს

34. **ნანოვსკაიას** სოფიო გრიგოლის ასულს — ქ. რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოს უფროს ორდინატორს

35. **ნასლედიშვილს** ოლღა ივანეს ასულს — ქ. თბილისის შე-16 პოლიკლინიკის ექიმ ოკულისტს

36. **პაპუნაიშვილს** ნატალია ახმედის ასულს — ქობულეთის სამშობიარო სახლის ექიმ-ორდინატორს

37. **სიჭინავას** ანტონ ილარიონის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში

38. **სურმავას** სალომე თომას ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბაკურიანის ბავშვთა სანატორიუმის მთავარ ექიმს

39. **ტერ-მინასოვს** მაკარ აბელის-ძეს — ქ. ბათუმის პოლიკლინიკის მთავარ ექიმს

40. **უგრეხელიძეს** ვალენტინ ლეონტის-ძეს — ხაშურის რაიონული საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილების გამგეს

41. **ფალავანდიშვილს** ირაკლი ვასილის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს

42. **ფხოველიშვილს** სოფიო ისაკის ასულს — სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის საექიმო უბნის გამგეს

43. **ქავთარაძეს** ბარბარე ათანასეს ასულს — თბილისის საქალაქო სანეპიდსადგურის ექიმ-ეპიდემიოლოგს

44. **ღლონტს** შალვა გრიგოლის-ძეს — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს მთავარ ექიმს

45. **შავგულიძეს** თამარ ვლადიმერის ასულს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო განყოფილების სამედიცინო სამსახურის ექიმ-ორდინატორს

46. **შველიძეს** გიორგი ლავრენტის-ძეს — ბათუმის ნავსადგურის მეზღვაურთა საავადმყოფოს მთავარ ექიმს

47. **ცეცხლაძეს** ეკატერინე მელიტონის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამეურნეო განყოფილების სამედიცინო სამსახურის პოლიკლინიკის ექიმ-სტომატოლოგს

48. **ცინცაბაძეს** ვალერიან დიმიტრის-ძეს — აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის ლენინის სახელობის სანატორიუმის მთავარ ექიმს

49. **ცქიტიშვილს** ვახტანგ პეტრეს-ძეს — ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს

50. **ჭეიშვილს** ნეფტიტე დიომიდეს-ძეს — ქ. თბილისის მე-2 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორს

51. **ხევსურიანს** ოქროპირ აბესალომის-ძეს — ახასთუმნის საკურორტო სამმართველოს სანატორიუმ „ზეკარის“ მთავარ ექიმს

52. **ხელიძეს** ალექსანდრე თადეოზის-ძეს — საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

53. **ჯატიევს** ივანე მიხეილის-ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1957 წლის 4 ნოემბერი.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისა და გენერალური ასამბლეის XII სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ა. გრომიკოს განცხადება

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიაზე პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისა და გენერალური ასამბლეის XII სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ა. გრომიკოს შემდეგი განცხადება.

სირიის უშიშროებისა და საერთაშორისო მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის შესახებ სირიის მთავრობის მიერ დასმული საკითხის განხილვამ გენერალურ ასამბლეაში გარკვეული დადებითი შედეგები მოგვცა. ეს შედეგები შეიძლება მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა იმას, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას გენერალურ ასამბლეაში და უარყო ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ცდები — ხელი შეეშალათ მისი განხილვისათვის. გენერალურმა ასამბლეამ უკვე ამით სასარგებლო საქმე გააკეთა, რადგან წინააღმდეგობა გაუწია იმათ, ვისაც სურდა ჩუმად ძოძიზადებინა და გახეხორციელებინა აგრესია სირიის წინააღმდეგ და მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინა მსოფლიო.

სირიის მიერ დასმული საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ თურქეთმა, აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც თურქეთს აქეზებენ სირიის წინააღმდეგ აგრესიულად მოქმედებისათვის, ვერ გააბათილეს მათ წინააღმდეგ წამოყენებული ვერც ერთი ბრალდება. კერძოდ, მათ არათუ ვერ შეძლეს გაბათილებინათ, არამედ ფაქტიურად დაადასტურეს, რომ სირიის საზღვარზე თურქეთის ჯარების უჩვეულო კონცენტრაციაა, რომელსაც თურქეთის არმიის ჩვეულებრივი მანევრები შეიძლება უწოდონ მხოლოდ გულუბრყვილო და ბრმა ადამიანებმა.

ის ფაქტი, რომ თურქეთი და ამერიკის შეერთებული შტატები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სირია-თურქეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის შექმნას, ცხადყოფს, რომ მათ ბევრი რამ აქვთ ისეთი, რაც უნდა დამალონ, რომ მათ დღის სინათლისა ეშინიათ. თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების თვალთმაქცობათა ასეთი დამოკიდებულება სულაც არ გვაკვირვებს, რადგან მათ შშვენივრად იციან, რომ გამოკვლევის შედეგები ამხილებდნენ მათს მოქმედებას. ამასთან, აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არაერთგზის მოუთხოვიათ სხვადასხვაგვარი კომისიების გაგზავნა, როცა საქმე ეხებოდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებსა და სხვა რაიონებს, მაგრამ ამჯერად მათ სრულიადაც არ მოსწონთ წინადადება, კომისიის გაგზავნის შესახებ, რადგან გამოკვლევის საგანი იქნებოდა მათი საკუთარი მოქმედება, აგრეთვე ნატოში მათი მოკავშირის— თურქეთის მოქმედება.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ნატოში მათი მოკავშირეების ციდები — გათიშვა შეეტანათ არაბთა სახელმწიფოებში სირიის საკითხის განხილვისას — აშკარად ჩაიფუშა, არაბთა ყველა სახელმწიფომ გენერალურ ასამბლეაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთ, როგორც ცნობილია, გააკეთა განცხადება, რომ ისინი გამოვლენ სირიის დასაცავად, თუ მის მიმართ ჩადენილ იქნა აგრესია. ამიტომ შეიძლება გარკვეკით ითქვას, რომ ასამბლეაში ამ საკითხის განხილვამ უფრო მეტად მოახდინა კონსოლიდაცია არაბი ხალხების ძალებისა და მათი მისწრაფებისა — დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა და გაუწიონ წინააღმდეგობა როგორც ძველ, ისე ახალ კოლონიზატორებს, რომლებიც ცდილობენ თავიანთ დიქტატს ზედიზედ დაუმორჩილონ არაბთა სახელმწიფოები.

თუ საჭირო იყო კიდევ დადასტურება, რათა გამოგვეაშკარავებინა „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინის“ ნამდვილი ბუნება, რომელიც გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ პოლიტიკურ კურსს ახლო და შუა აღმოსავლეთის მიმართ, ვითარებამ, რომელიც სირიის გარშემო შეიქმნა, და ასამბლეაში სირიის მიერ დასმული საკითხის განხილვამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ეს დოქტრინაც უცხოა როგორც არაბი ხალხების ეროვნული ინტერესებისათვის, ისე მშვიდობის ინტერესებისათვის. შემთხვევითი როდია, რომ მისი გამოცხადების შემდეგ ვითარება შუა და ახლო აღმოსავლეთში უფრო გართულდა, შეიძლება ითქვას, უკიდურესობამდე მივიდა სირიის მიმართ თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც ახორციელებს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების პოლიტიკას, აქტიურად და მტკიცედ დაუჭირა მხარი სირიის მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, აგრეთვე მის წინადადებას, რომ შეიქმნას კომისია თურქეთ-სირიის საზღვარზე მდგომარეობის გამოსაკვლევად. საბჭოთა კავშირი მტკიცედ გამოვიდა სირიის დასაცავად, რათა თავიდან აგვეცილებინა აგრესია, რომელიც ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ მზადდებოდა, რათა არ დაგვშვა ამ რაიონში შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობა, რომელიც შეიძლებოდა ფართო ომის ხანძრად გადაქცეულიყო. საჭირო არ არის გავიმეოროთ ის გაფრთხილება, რომელიც საბჭოთა მთავრობამ მისცა, მათ შორის ასამბლეის ტრიბუნიდან. სირიის გარშემო ასეთი მდგომარეობის შემქმნელთ. ეს გაფრთხილება კარგად არის ცნობილი.

ხალხებმა შეიტყვეს იმათი სახელები, ვინც დაადგა სირიის წინააღმდეგ აგრესიის მომზადების გზას, შეიტყვეს მათი გეგმები, აგრეთვე ის, რომ სირია მარტო არ დარჩებოდა თავის ბრძოლაში, თუ მას თავს დაესხმოდნენ. საფრთხე, რომელიც სირიას მოეკლინა, ჯერ კიდევ არ არის თავიდან აცილებული, სირიის საზღვართან თავმოყრილი თურქეთის ჯარები გაყვანილი არ არიან. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ფრთხილად უნდა იყოს, ხოლო ამასთან ერთად ფრთხილად უნდა იყვნენ მთელი ძალები, რომლებიც გმობენ მუქარისა და შანტაჟის პოლიტიკას, დიქტატის პოლიტიკას და ომარიის ჩხარუნს, რომელსაც მიმართავს ზოგიერთი სახელმწიფო არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი. საბჭოთა კავშირმა, თავის მხრივ, გააკეთა და აკეთებს ყოველივეს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონი საშიშ კართულებათა და კონფლიქტთა რაიონიდან გადაიქცეს მტკიცე მშვიდობის რაიონად.

# პროგრესული კაცობრიობა აღფრთოვანებულია დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის გაშვებით

## „საბჭოთა ხალხის ჯრიუმფი“

**სოფია**, 3 ნოემბერი. (საკდესი) ბულგარეთის მშრომელნი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის გაშვების შესახებ. ბულგარეთის რადიომ დღეს არაერთხელ გადასცა საკდესის ცნობა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა ახალი წარმატების შესახებ.

კომენტარს უკეთებს რა ამ მოვლენას სალამოს გადაცემაში, სოფიის რადიო მას ახასიათებს როგორც საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას. რადიოკომენტატორმა აღნიშნა, რომ ახლა მილიონობით ადამიანს თვალი მიპყრობილია ორი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრისაკენ, რომლებიც დედამიწის გარშემო მოძრაობენ. ამ ადამიანთა გული გამსჭვალულია პატივისცემით საბჭოთა კავშირის მეცნიერთადმი, საბჭოთა კონსტრუქტორებისადმი, რომლებმაც მოიპოვეს ასეთი ისტორიული გამარჯვება, უდიდესი ნაბიჯი გადადგეს წინ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი ტრიუმფია არა მარტო საბჭოთა მეცნიერებისა, არამედ კომუნიზმის მშენებელი მთელი საბჭოთა ხალხისაც.

რადიოკომენტატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ახალი მიღწევა სსრ კავშირის ახალი ნაბიჯია მშვიდობის დიდი საქმის განმტკიცების გზაზე.

# ამერიკელი მეცნიერი საბჭოთა კავშირში დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის გაშვების შესახებ

**ნიუ-იორკი**, 3 ნოემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი კემბრიჯიდან (მასჩუსეტსის შტატი) იუწყება:

სმიტსონის ინსტიტუტის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა დოქტორმა უაილმა დღეს განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება „ექვსჯერ უფრო სერიოზული მეცნიერული მიღწევაა“, ვიდრე პირველი თანამგზავრის გაშვება.

როგორც უილმა განაცხადა, „კიდევ უფრო დიდ გაკვირვებას“ იწვევს თანამგზავრის წონა. ნიუ-იორკისა და ამერიკის სხვა ქალაქების ყველა გაზეთი ძალიან დიდი სათაურებით პირველ გვერდზე ბეჭდავს ცნობებს თანამგზავრის შესახებ, ხოლო რადიო და სატელევიზიო სადგურები პირველ ადგილს უთმობენ ამ ცნობებს თავიანთ გადაცემებში.

# „ყველაზე ფანტასტიკური მოვლენა“

**ლონდონი**, 3 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში შექმნილი დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის გაშვებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ინგლისის მეცნიერთა წრეებში. მეცნიერები აღტაცებას გამოთქვამენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევის გამო. როგორც პრესა ასოშიეიტშის საააგენტო იუწყება ბრიტანეთის სამეფოს სამეცნიერო მიმოსვლის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა კენტ გეტლენდმა, კომენტარი გაუკეთა რა მეორე თანამგზავრის გაშვებას, აღტაცება გამოთქვა ახალი რაკეტის არაჩვეულებრივი ზომის გამო. „ეს პირდაპირ ფანტასტიკურია,— თქვა მან, — და ეს ნიშნავს, რომ რუსებმა შეიძლება ხვალვე გაუშვან მთვარეზე რაკეტი საკმაოდ დიდი ტვირთით.“

გეტლენდმა დასძინა: „რუსები, როგორც ჩანს, კიდევ უფრო წინ წავიდნენ, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით“.

ინგლისის რადიომ გამოაქვეყნა სამეფო საზოგადოებასთან არსებული ატმოსფეროს ზედა ფენების შესწავლის კომიტეტის თავმჯდომარის პროფესორ მესის განცხადება, რომელშიც მან დედამიწის მეორე თანამგზავრის გაშვება დაახასიათა როგორც „ყველაზე ფანტასტიკური მოვლენა“. პროფესორმა მესიმ ხაზგასმით აღნიშნა იმის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, რომ ამჯერად თანამგზავრში იმყოფება ცხოველი, განაცხადა რა ამასთან, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადაიჭრას საკითხი, „შეუძლია თუ არა ცოცხალ არსებას გაუძლოს გარკვეული სახეობის კოსმოსურ გამოსხივებას“.

# საბჭოთა კავშირ - იუგოსლავიის ეკონომიური ურთიერთობისათვის

1957 წლის 1 ნოემბერს ბელგრადში წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის 1958 წელს საქონელბრუნვის შესახებ.

ოქმით გათვალისწინებულია საქონელბრუნვის შემდგომი გაფართოება იმ საქონელბრუნვასთან შედარებით, რომელიც დაწესებული იყო 1957 წლისათვის.

ამ ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირი იუგოსლავიას მიაწვდის ხორბალს, ქვანახშირს, ნავთობს, მარგანეცის მადანს, ფეროშენადნობებს, ბამბას, მანქანებს, მოწყობილობასა და სხვა საქონელს.

იუგოსლავია საბჭოთა კავშირს მიაწვდის შავი ლითონების ნაგლინს, ტყვიას, თუთიას, კაბელის ნაწარმს, ცემენტს, ტყავს, ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და სხვა საქონელს.

# ჯელალ ბაიარი კვლავ არჩეულია თურქეთის პრეზიდენტად

**ანკარა**, 2 ნოემბერი. (საკდესი). მე-11 მოწვევის მეჯლისის გუშინ გამართულ პირველ სხდომაზე თურქეთის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ჯელალ ბაიარი. მეჯლისის თავმჯდომარედ არჩეულია რეფიკ კორალტანი, მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილეებად — ფიქრი აბადინი, აგიან ეროზანი, იბრაჰიმ კიბრაზოღლუ.

# გაჩდაიცვალა დი ვიზორიო

**რომი**, 3 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს ლეკოში გულის დამბლით გარდაიცვალა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე ჯუზეპე დი ვიტორიო.

# თბილისელებმა სსრ კავშირის თასი მოიპოვეს

3 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთათვის სსრ კავშირის თასის გათამაშების დასკვნითი შეხვედრა ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდებს შორის. თამაში მძაფრი სპორტული ბრძოლით ხასიათდებოდა. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 0:0. შეჯიბრების მეორე ნახევრის მე-7 წუთზე თბილისელთა მიერ გათამაშებული ერთ-ერთი კომბინაცია გოლით დამთავრდა. ბურთი გაიტანა ქ. ნავროზაშვილმა. ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა. გაიმარჯვეს თბილისელებმა 1:0.

ამრიგად, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი ს. სიხარულიძე) სსრ კავშირის თასი მოიპოვა. გამარჯვებულ გუნდს საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო. თასის გათამაშების დებულებით თბილისელ-ფეხბურთელებს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ.

* * *

**სურათზე:** სსრ კავშირის თასის გათამაშებაში გამარჯვებული თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდი.

# საერთაშორისო შიხ ვიდრა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის საოლქო სასპორტო კლუბისა და ქ. ტურკუს (ფინეთი) გუნდები.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ — 3:0.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში ჯერ არ ჩიელებმა, შემდეგ ფინელებმა თითო ბურთი გაიტანეს, ხოლო შემდეგ სტუმრებმა ხუთჯერ დაიწყეს თამაში ცენტრიდან.

საერთაშორისო მატჩი დამთავრდა თბილისის საოლქო სასპორტო კლუბის გუნდის გამარჯვებით. ანგარიშით 9:1.

# დასკვნითი შეჯიბრება

„ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები ზონებში შეჯიბრებას ამთავრებენ. პირველ და მესამე ზონაში უკვე გამოვლინდა გამარჯვებულები.

პირველობის გათამაშების დებულებით სამივე ზონაში გამარჯვებულ ფეხბურთელთა კოლექტივები ნეიტრალურ მოედანზე გამართავენ დასკვნითს ასპარეზობას ორ წრედ. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი „ა“ კლასში გადავა.

ზონებში გამარჯვებულთა დასკვნითი შეხვედრები დაიწყება ტაშკენტში 17 ნოემბრიდან.

# მოტორგოლა

საინტერესო შეჯიბრება იყო გასულ კვირას სტალინის სახელობის სანაპიროზე (ყარლ მარქსის სახელობის ხიდთან) გამართული მოტორბოლა (თბილისის რაკალი).

სხვადასხვა სიმძლავრის მანქანებით რბოლაში გაიმარჯვეს ვ. ბარასიევამ, კ. ცალქალამანიძემ, ა. გუნიამ და ბ. სუხიშვილმა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მოტომრბოლთა კოლექტივმა. მეორე ადგილი მოიპოვა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ გუნდმა. მესამე ადგილზე გამოვიდა „დინამოს“ გუნდი.

* * *

**სურათზე:** მოტორბოლის ერთ-ერთი მომენტი. წრეში — ბ. სუხიშვილი.

# ლენინგრადი — თბილისი

3 ნოემბერს თბილისის ველოსტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით, — გაიხსნა საქალაქთაშორისო მატჩი ველოსპორტში.

შეხვედრა დაიწყო გიტით 200 მეტრზე ქალთათვის. უკეთესი დრო — 13,5 წამი აჩვენა ლენინგრადელმა სპორტსმენმა ა. მოზდიგინამ.

საინტერესო იყო სპრინტერული რბოლა. გაიმარჯვეს თბილისელებმა.

მოეწყო აგრეთვე გუნდური რბოლა დადევნებით ქალთათვის 3 და ვაჟთათვის 4 კილომეტრზე. ლენინგრადის ვაჟთა ძლიერმა გუნდმა, რომელიც სპორტის ოსტატებით იყო დაკომპლექტებული, პირველი ადგილი დაიკავა. ქალთა გუნდებს შორის გაიმარჯვა თბილისის სპორტსმენთა კოლექტივმა.

# საჭადრაკო მატჩი

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო ოქტომბრის ზეიმისადმი მიძღვნილი ტრადიციული მატჩი დონის როსტოვისა და თბილისის მოჭადრაკეთა გუნდებს შორის.

3 ნოემბერს პირველ ტურში ოსტატმა ბ. გურგენიძემ დაამარცხა ოსტატი ლ. შამკოვიჩი, ა. ბლაგიძემ — ვ. ტერიკი, ნ. მელიხოვმა — ა. ბუსლაევი, ო. კოზლოვმა — თ. კიკინი. თ. გიორგაძე — ლ. რუდენკო და ა. ოსტროვსკი — გ. კალატოზიშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

# ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი კინოფილმების ფესტივალი

დღესასწაულის დღეებში — 6, 7, 8 და 9 ნოემბერს თბილისის კინოთეატრებში — „ოქტომბერი“, „ამირანი“, „ბალტიკაში“, „საქართველოში“, „ისანში“, „ყაზბეგში“, „ქოლხიდაში“, „კოლმეურნეში“, რუსთაველის სახელობისა და 26 კომისრის სახელობის კინოთეატრებში, აგრეთვე პლეხანოვისა და ჭავჭავაძის სახელობის კლუბებში მოეწყობა კინოფესტივალი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი.

მაყურებელი ეკრანებზე ნახავს კინოფილმებს „მიფრინავენ წეროები“, „ვიბორგის მხარე“, „ლენინგრადის სიმფონია“, „გრიგალი“, „წყნარი დონი“, „ულიანოვების ოჯახი“, „იქ ცხოვრობდა ლენინი“, „მაქსიმეს დაბრუნება“.

კინოფილმები „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“ და ზოგიერთი დოკუმენტალური ფილმი დღესასწაულის დღეებში ნახვენები იქნება ლენინის მოედანზე, გმირთა, სადგურის, მარჯანიშვილის მოედნებზე და დიდი სახლების ეზოებში.

# დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები

მარნეულის რაიონის მშრომელებმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობისათვის საოქტომბროდ დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გამოგზავნეს. სტალინის, კიროვის, 26 კომისრის რაიონების და სხვა საოლქმეურნეო ბაზრებზე იყიდება მათ მიერ ჩამოტანილი 13 ტონა ხორცი, 160 ტონა ბოსტნეული, 25 ტონა ხილი, რძე და რძის პროდუქტები, 4.000 ფრთა ფრინველი და სხვ.

* * *

„თბილხილბოსტნეავაჭრობას“ გათვალისწინებული აქვს ქალაქის მოსახლეობისათვის თავის მაღაზიებში დღესასწაულის დღეებში გამოიტანოს 100-მდე ტონა ციტრუსები, მათ შორის ბევრი მანდარინი, 20 ტონა ხილი, დიდძალი კარტოფილი, ახალი ბოსტნეული. გაიყიდება კიტრის, პამიდორის მწნილი, ტომატისა და ტყემლის საწებელი, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები.

* * *

ამ დღეებში ფართო ასორტიმენტის სასურსათო საქონლით ვაჭრობენ „თბილგასტრონომის“ მაღაზიები, რომლებსაც აქვთ დიდძალი ხორცი, ძეხვეული, რძის ნაწარმი, შაქარი, კარაქი, ერბო, თევზეული, თამბაქოს ნაწარმი, კონსერვები, საკონდიტრო ნაწარმი.

# დატარებითი ვაჭრობა დღესასწაულის დღეებში

მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით სადღესასწაულო დემონსტრაციის დროს, აგრეთვე სახალხო სეირნობის ადგილებში — თბილისის ქუჩებში და მოედნებზე მოეწყობა კვების პროდუქტების დატარებითი ვაჭრობა. „თბილგასტრონომის“, მარცხენა და მარჯვენა ნაპირის „თბილკვებვაჭრობის“, სასადღლობისა და რესტორანების ტრესტების, „თბილხილბოსტნეავაჭრობის“ და სხვა ორგანიზაციების ათობით ავტომანქანებზე გაიყიდება კვების პროდუქტები — ფუნთუშეული, ბუტერბროდები, ცხელი ღვეზელი, კატლეტი, ფართო ასორტიმენტით საკონდიტრო ნაწარმი, ხილი, უალკოჰოლო სასმელები და სხვ.

გამოყოფილია აგრეთვე ასამდე დამტარებელი, რომლებიც გაჰყიდიან კვების პროდუქტებს და თამბაქოს ნაწარმს.

**რედაქტორი პ. რატიანი.**

## დღეს

### თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — ღერწამი ქარში, **სომხური დრამის** — განგაა ქალიშვილი, **მუსიკალური კომედიის** — სამი პატარძალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოჯახი (აბონემენტი № 3, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ზღაპარი ზღაპრის შესახებ (10 ს. და 1 ს.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი, (11 ს. და 2 ს.), **ფილარმონია** — ჯაზ-ორკესტრის კონცერტი გ. გაბესკირიას ხელმძღვანელობით (საზამთრო თეატრი, 9 ს.), საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის „რეროს“ კონცერტი (ძერჟინსკის სახელობის კლუბი, 9 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვისა და ჭავჭავაძის სახელობის კლუბები, კომუნარების ბაღი** — დედის სიყვარული, **ამირანი** (ფართო ეკრანი) — დები, **ამირანი** (საზაფხულო) — საქმე № 306, **ისანი** (საზაფხულო) — კარნავალის ღამე, **კომკავშირელი, კოლხიდა**, (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, დიდუბე** (საზამთრო) — მიფრინავენ წეროები, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ვოლოჩაევის დღეები, **კოლხიდა** (საზაფხულო), **კიროვის სახელობის პარკი, საქართველო** (საზაფხულო) — ჩვენ დავმეგობრდით მოსკოვში, **ყაზბეგი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — მეესიკის სერენადა, **კოლმეურნე** — გიორგი საკაძე (I და II სერია), **დიდუბე** (საზაფხულო) — მოუსვენარი დღე.


შვილები მარო, გედევან, ილია, რძლები მარო, დოდო, ძმა ვანო მამულაიშვილი, სიძე ნიკოლოზ მენაბდე ოჯახებით იუწყებიან
**მარო კონსტანტინეს ასულ მამულაიშვილიმეონიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-XI, 7 ს. გამოსვენება 9-XI, 2 ს. ბ-ნიდან. ლეხინის ქ. № 10.

მეუღლე ძოგო, შვილები ხუტა, გოგუცა, ლუბა, ნუცა, ვალოდია, აკაკი, მურმან, ძმა დიანოზ, რძალი თამარ ახალაიები, სიძეები ბაგრატ გაგუა, ვალოდია ჭითავა, დუნდუ ჯანჯღავა ოჯახებით იუწყებიან
**ვასილ დიმიტრის-ძე ახალაიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XI, 5 ს. სოფ. აჩადარაში (სოხუმის რ.).

მე-4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის კოლექტივი იუწყება
**სოხო სოკრატის-ძე ჩანკვეტაძის**
გარდაცვალებას.

შვილები ივანე, შუშანა, თეოფანე, შალვა, რძლები ლუბა, მედეა, ოლია მალაზონიები, სიძე ტ. წულაია ოჯახებით იუწყებიან
**ვასილი მალაზონიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XI სოფელ საჩინოში (წალენჯიხის რ.).

მეუღლე გაიანე, შვილები ლუსია, როზა, დონარა, ალექსანდრე, სიძეები ვ. სალუქაშვილი, ო. ყიფიანი, კ. ომედაძე იუწყებიან
**ნიკოლოზ პავლეს-ძე არუთინოვის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 8-XI, 7 ს. გამოსვენება 9-XI, 3 ს. აწყურის ქ. № 16.

შვილები ეთერ, ვარა, გივი, სიძეები ბ. რამიშვილი, მ. ვარდოსანიძე ოჯახებით იუწყებიან
**დომნა დარისპანის ასულ ქოჩიაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XI თერჯოლ